ხელშეკრულება № 2022 / 14 / 090
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული შესყიდვა NAT220003596)

თბილისი **23 მარტი, 2022წ.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით და **შპს „ეკოპლასტიკი"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის, ხათუნა ბუჩუკურის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV– 44100000) შესყიდვა.

2.2 საქონლის დასახელებები, რაოდენობები და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად და შეადგენს **19276.00 (ცხრამეტი ათას ორას სამოცდათექვსმეტი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ფასთა ცხრილში (დანართი #1) წარმოდგენილი, ყველა დასახელების საქონელი, სრული ოდენობებით, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ერთიანად ან ეტაპობრივად, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება შეტყობინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1 დანართი №1-ში განსაზღვრულ საქონელზე ვრცელდება 6 (ექვსი) თვიანი გარანტია მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

5.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის შენახვისას ან ექსპლუატაციისას, შენახვისა ან ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, ქარხნული წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახალი, ვარგისი საქონლით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.3 მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი – გურამ ბერიძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში იგივე სამსახურის სხვა უფლებამოსილი თანამშრომელი.

6.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და გამოასწოროს წუნი 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში წუნდებული საქონლის ახალი, ვარგისი საქონლით ჩანაცვლებით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2022 წლის საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი შესაბამისი ცნობის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მიწოდების ვადაში არ შედის საქონლის წუნის აღმოფხვრისათვის ხელშეკრულების 6.4 პუნქტით დაწესებული ვადა, ასევე, ინსპექტირებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთვის გახარჯული დრო.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული პირობებიის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს, გარდა ხელშეკრულების მე-5 მუხლისა და 10.2 პუქტისა, 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების მე-5 მუხლი და 10.2 პუნქტი მოქმედებენ 5.1 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №22
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი
შპს „ეკოპლასტიკი“ ,
წარმოდგენილი დირექტორის, ხათუნა ბუჩუკურის სახით
მისამართი: თბილისი, ღრმაღელის 88ბ
ტელეფონი: +995551088749
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE39BG0000000527141661
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ – 400321692

№	საქონლის დასახელება	განზ-ბა	მწარმოებელი ან ბრენდი და წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	პლასტმასის ქურო გ/ხ 20 მმ. ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	1.3	6.5
2	პლასტმასის ქურო შ/ხ 20 მმ. ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	1.3	6.5
3	პლასტმასის ქურო შ/ხ 25 მმ. ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	1.6	8
4	მილი/ცხელი წყლის 20მმ	მეტრი	იფანი, ჩინეთი	40	2.2	88
5	ამერიკანკა 20მმ შ/ხ ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	4.3	21.5
6	ამერიკანკა 20მმ გ/ხ ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	4.3	21.5
7	ამერიკანკა 25შ/ხ ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	6	30
8	ამერიკანკა 25გ/ხ ლატუნის მასალით	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	6	30
9	პაკლი არანაკლებ 40მ*19მმ	ცალი	იფანი, ჩინეთი	20	12	240
10	მუხლი 90*20 მმ (პლას მილის)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	0.3	3
11	ქურო 20მმ (პლას. მილის გადასაბმელი ქურო)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	0.3	3
12	წყლის მილი არმირებული 25 მმ.-ნი დიამეტრით (სილიკონის)	მეტრი	იფანი, ჩინეთი	30	2.6	78
13	ონკანის უჟანგავი მეტალის მილი დიამეტრით 22მმ.-18მმ.-ზე. სიგრძით 0.6მ. (ლატ.თავებით)10-წყვილი	ცალი	იფანი, ჩინეთი	20	3.6	72
14	სამშენებლო ქაფი 750 მლ.	ცალი	დვტ, ჩინეთი	30	11	330
15	გათბობის რადიატორის რეზინის სადები (სალნიკები ონკანის და ზაგლუშკის ზომა 20-ნი-50ც. 25-ნი 50 ც.)	ცალი	იფანი, ჩინეთი	100	0.2	20
16	პლასტმასის წყლის მილის მუხლი შიდა ხრახნით (ზგონი უჟანგავი) 20 მმ.-ნი დიამეტრით (პოლდიუმა)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	1.8	18
17	ონკანის უჟანგავი მეტალის მილები სიგრძით 1 მ. დიამეტრით 22 მმ. (ლატ.თავებით 15-წყვილი)	ცალი	იფანი, ჩინეთი	30	4.3	129
18	ონკანის უჟანგავი მეტალის მილები სიგრძით 0.6 მ. დიამეტრით 22 მმ. ორივე თავებით (ლატ.თავებით) 20 წყვილი	ცალი	იფანი, ჩინეთი	40	3.6	144
19	ონკანის უჟანგავი მეტალის მილი დიამეტრით 22მმ. სიგრძით 1.2 მ. (ლატ.თავებით)5-წყვილი	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	5	50
20	ონკანის უჟანგავი მეტალის მილი სიგრძით 0.6 მ. ქვედა მიწოდებით (ლატუნის თავებით)	ცალი	იფანი, ჩინეთი	50	3.6	180
21	საღებავი ბალონი პულვერიზატორით (300მლგ) ფერი შეთანხმებით	ცალი	დეკორი, ბელორუსია	20	8	160
22	პლასტმასის წყლის მილის სამკაპი (ტრაინიკი) 20 მმ.-ნი დიამეტრით (პოლდიუმა)	ცალი	იფანი, ჩინეთი	5	1	5
23	სილიკონის მილი (შლანგი19 მმ-იანი. გამჭვირვალე)	მეტრი	იფანი, ჩინეთი	20	2	40
24	ლატუნის დამაგრძელებელი გარე ხრახნით 22 მმ. (ბაჩოკი)1/2	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	2	20
25	ფითქი 25 კგ. ტომრით (მეორე, სუფთა პირისთვის)	ცალი	ცერესიტი, ჩინეთი	10	14.5	145

26	წყლიანი საღებავი (ვადაემულსია) თეთრი ფერის, 15ლ. 25 კგ. მორეცხვისადმი მედეგი,დაფარვის დიდი შესაძლებლობით, მაქსიმუმ 2 პირის შეღებვისას პერიმეტრის 100 % ათვისებით, (კედლისთვის)უმაღლესი ხარისხის	ცალი	დეკორი, ბელორუსია	50	84	4200
27	ზეთოვანი საღებავი, თეთრი ფერის, ჭურჭლით. პრიალა, უნდა გამოიყენებოდეს: ხის, კედლებისა და რკინის ზედაპირებისთვის. სინთეთიკური, უმაღლესი ხარისხის	ლიტრი	დეკორი, ბელორუსია	20	7	140
28	საღებავის გამხსნელი ნიტრო 1 ლტ.	ცალი	დეკორი, ბელორუსია	3	10	30
29	საღებავის გამხსნელი 1 ლტ . უმაღლესი ხარისხის	ცალი	დეკორი, ბელორუსია	10	11	110
30	წყლიანი საღებავი (ვადაემულსია) თეთრი ფერის, 15ლ. 25 კგ. მორეცხვისადმი მედეგი,დაფარვის დიდი შესაძლებლობით, მაქსიმუმ 2 პირის შეღებვისას პერიმეტრის 100 % ათვისებით, (ფასადის) უმაღლესი ხარისხის	ცალი	დეკორი, ბელორუსია	15	84	1260
31	თაბაშირი 25კგ ტომრით	ცალი	ცერესიტი, ჩინეთი	5	12	60
32	საღებავის ფერები 100გრ (ფერები შეთანხმებით)	ცალი	დეკორი, ბელორუსია	30	5	150
33	პოლიეთილენის რულონი 100 მ. 18 კგ. ორმაგი ფენა.1.5 მ.-სიგანის.	ცალი	დეკორი, ბელორუსია	3	80	240
34	400 მარკიანი, ცემენტი 25 კგ. ტომრით	ცალი	ჰაიდელბერგი, საქართველო	10	8	80
35	ქაღალდის სკოჩი 2 სმ. სიგანე. სიგრძე მინიმუმ 20 მ.	ცალი	აქსენტი, ჩინეთი	80	5	400
36	ლამინატის იატაკი თავისი ქვეშსაგებით (ფერი შეთანხმებით) უმაღლესი ხარისხის მეორე კლასის	კვ,მ	camsal, თურქეთი	150	29	4350
37	მოსაჭერი რგოლები 3სმ დიამეტრით (ლითონის ხამუთი)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	2	20
38	მოსაჭერი რგოლები, 2სმ დიამეტრით (რკინის ხამუთი)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	1.2	12
39	ტვირთის შესაფუთი წებოვანი ლენტი (ე.წ. სკოჩი სიგრძე მინიმუმ 220 მ. შიდა დიამეტრი 75-80მმ.)(ცვეულებრივი სკოჩი)	ცალი	იფანი, ჩინეთი	600	10	6000
40	ორმაგი სკოჩი (უმაღლესი ხარისხის სილიკონის მასალის) 10*3 მმ	ცალი	აქსენტი, ჩინეთი	5	7	35
41	წებოცემენტი 25კგ. უმაღლესი ხარისხის	ცალი	ცერესიტი, ჩინეთი	10	11	110
42	გათბობის რადიატორის ჰაერის გამშვები	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	7	70
43	გათბობის რადიატორის სარქველი (ზაგლუშკა)	ცალი	იფანი, ჩინეთი	10	6	60
44	საიზოლაციო ლენტი 19 მმ. არანაკლებ 20 მ.	ცალი	იფანი, ჩინეთი	50	2	100
	ჯამი					19276